



**ჩამებაამ წმიდისა და ყოვლად-ქებაულისა
მოწამისა სანსოფი სლექსანდრიელისა***



სრობად თქუენდა მნებავეს, საყუ-
არელნო, და უწყებად საქმესა და
წარმართებასა კაცისა ამის იმრ-
თივეგანბრძნობილისასა. **სანსოფი-**
ის უკუე ვიტყვ მუშაკსა სიმართლისასა, და
სახესა კეთილისა სათნოებისასა, რომელმან
იგი მიიღო გვრგვნი მონამებისაჲ **ბეკეოზის** ზღ
უსჯულოდსა მის მეფისა, ოდეს იგი იღელვე-
ბოდეს მის მიერ ჴრისტეანენი.

ჴოლო იყო ნეტარი ესე ნათესავით **ალექსან-**
დრიელი, რომლისა მამასა **ჩილო** ეწოდებოდა
და პატივითა ანთიპატრობისაჲთა იყო იგი პა-
ტივცემულ. **ბა** ვითარ აღზარდა ნერგი იგი
კეთილი და მიიწია ჟამსა სასწავლოდ მიცე-
მისა, მისცა იგი ვიეთმე მეცნიერთა გარემისა
სწავლულებისათა. **ბა** რაოდენი რაჲ ჯერ-იყო,
დაისწავა კეთილად და უფროჲს ხოლო მისცა
თავი თვისი კითხვასა საღმრთოთა და იმრ-
თივ-სულიერთა წიგნთასა. **ბა** მიერ აღმოივსო
საღმრთოჲ და კეთილი გულის-ხმის-ყოფაჲ და
აღმართა კარავი თვისი რტოთა ქუეშე სიბრძნი-
სა იმრთისათა.

ბა რაჟამს მიიღო უმეტესი ფლობაჲ შესა-
კუთრებად იმრთისა, ოდეს იგი მამად მისი ჴო-
რცთაგან განვიდა და დაუტევა საწუთოჲ ესე,
მაშინ დაუტევა ამანცა სოფელი და უდაბნოჲ
შეიყუარა. **ბამეთუ** ყოველი მონაგები და სიმ-
დიდრე მამული გლახაკთა განუყო და თვთ
განვიდა უდაბნოდ. **ბა** ოც და შუდისა წლისა
ჟამთა იქცეოდა მუნ მოღუანებითა კეთილითა
და იმრთისა სათნოდ ცხონდებოდა.

2. ჴოლო მათ დღეთა შინა მოივლინა მე-
ფისა **ბეკეოზის** მიერ **სლექსანდრიად** მთა-
ვარი ვინმე უკეთური, რომელსა ეწოდებოდა
სელუსტალიოს. **ბა** ბრძანებული იყო მისდა
ბეკეოზის მიერ ტანჯვაჲ ჴრისტეანეთაჲ. **ბო-**
მელმანცა იწყო გამოძიებად და ძვრ-ძვრად
ტანჯვად, სადაცა იპოვნინან. **ბა** ეგრეთ უწინდა
დათხევაჲ სისხლისა ჴრისტეანეთაჲსა, ვითარ-
ცა ვინ სუამნ სასუმელსა საწადელსა.

უსრეთ რაჲ გამოიკულეოდეს ყოველთა

ადგილთა მის მიერ მორწმუნენი ჴრისტესნი,
შესმენილ იქმნა სანატრელიცა ესე უღმრთო-
თა ვიეთმე კაცთა მიერ. **ბა** აუწყეს ყოველივე
საქმე მისი და ადგილიცა იგი ასწავეს, სადა
იყოფოდა დაყუდებით წმიდაჲ იგი. **ჴოლო** ესმა
რაჲ ესე უსჯულოსა **სელუსტალიოსს**, მსწრა-
ფლ წარავლინნა სტრატოტიონი მოყვანებად
მისა. **ბა** ვითარ წარმოიყვანეს წმიდაჲ იგი,
წარმოადგინეს წინაშე მსაჯულისა. **ბა** მიხედა
მას მთავარმან და ჰრქუა: «შენ ხარა **ჴანსოფი**,
რომელსა შეურაცხ გიყოფიეს პატივი უკუდავ-
თა ღმერთთაჲ? მითხარ მე, რომლისა ნათესავ-
ისაჲ ხარ შენ?» ხოლო წმიდაჲ **სანსოფი** დუმნა
და არარაჲ მიუგო მას. **ბუალად** მთავარმან ჰრ-
ქუა წმიდასა: «გჰკონებ, ვითარმედ **სეკონდეს-**
გან გისწავიეს სიბრძნე ეგე და მას ჰბაძავ და
ამისთვის არარას იტყვ, გარნა მაუწყე სახლისა
და ტომისა შენისაჲ, თუ ვინაჲ ხარ შენ?»

3. **სლიხილნა** თუალნი თვისნი წმიდამან ზეცად
მიმართ და თქუა: «გმადლობ შენ, **ოფალო**
ესესუ ჴრისტე, იმერთო ჩემო, რამეთუ ღირს
მყავ მე არალირსი ესე აღსარებად სახელისა
შენისა წმიდისა უსჯულოთა მთავართა წინაშე.
სრამედ შენ მომეც სიტყუად სიტყუაო და სი-
ბრძნეო იმრთისა შამისაო, რაჲთა მიუგო მათ
სიტყუად ჯეროვანი. **ბამეთუ** არა ჩემსა ვესავ
სიბრძნესა, არამედ შენსა მიუწნომელსა სახ-
იერებასა».

სრულყო რაჲ წმიდამან **სანსოფი** ლოცვაჲ
იგი, მიუგო მთავარსა და ჰრქუა ესრეთ: «ან
ისმინე მთავარო, და გაუწყო შენ, რამეთუ
იკითხავ ნათესავსა ჩემსა და წესსა მოქალაქო-
ბისა ჩემისასა. **ჩათესავთა** წარჩინებულთაჲ
ვარ მე. **ბა** სახელი პირველი და პატიოსანი
ჩემი ჴრისტეანე, ხოლო კაცთა მიერ **სანსოფი**
მეწოდების მე. **ბა** რაოდენნიმე დამიზმან ჟამ-
ნი უდაბნოს მყუდროებით მსახურებასა შინა
იმრთისა ჩემისასა, ხოლო აწ ვინაჲთგან მივე-
ცი ჴელთა თქუენთა, არა უგულუბელს-მყოს
ღრისტემან იმერთმან ჩემმან, **ბომელმან** იგი
ღირს მიჩინა სუმად ვენაწისაგან შისისა ტკ-

* კიძინი I, რედ. კ. კეკელიძე, ტფ., 1918. გვ. 48-59.

ბილისა, და ძლიერებითა მისითა დავპრიტინე ისარნი მტერისანი».

ძიუგო **ჯვლესტალიოს** და ჰრქუა მას: «ამ- ისთჳს განაგრძვენა სიტყუანი შენნი, რომელ მყუდრო გექმენ შენ. Ⴤრამედ ან უბრძანო და ფრიად გტანჯონ შენ და უქმად გამოჩნდეს ყოველი სიტყუს-გებად შენი». Ⴤა მყის უბრძანა მტარვალთა ცემად მისი უწყალოდ არგნებითა და ჳმობდა ქადაგი, ვითარმედ: «გრწმენინ მთავრისაჲ, და უგე უკუდავთა ღმერთთა და სცხონდეს». Ⴢოლო ნეტარსა მას ვითარ იგი სცემდეს უწყალოებით, იტყოდა იმრთისა მიმართ: «**ღფალო** **ესუ** **Ⴤრისტე**, აღმისუბუქენ მწარენი ესე გუემანი, რამეთუ ფრიად მჭირს მე». Ⴤა უბრძანა უსჯულომან მან უფიცხლე- სადრე გუემად მისი.

ღა ვითარ გუემეს იგი მრავალჳამ, მერმე უბრძანა მტარვალთა, რაჲთა აღჳადონ ტყავი ზურგსა მისსა. Ⴤა ვითარცა ყვეს ესეცა და დამოსდიოდა სისხლი მისი ვითარცა წყაროჲ, მაშინ მიხედა მთავარმან და ჰრქუა მას: «არა მერჩია მასწავლელსა შენდა უმჯობესისასა, ანუ აღირჩევ სხუათაცა უმწარესთა ტანჯვათა?! რამეთუ ესერა განმზადებულ ვარ ბრძანებისაებრ სჯულისა შეგდებად შენდა ფრიად უმძაფრესთა სატანჯველთა».

4. ძიუგო საკრველმან **სანსოფი** და ჰრქუა: «მწურეო და საუნჯეო ყოვლისა სიმყრალისაო, რაჲსათჳს ასონი ჩემნი დასჭრენ ტანჯვითა, ანუ ჰგონებ თუმცა ტანჯვითა შეუძლე განყენებად ჩემდა სიყუარულსა Ⴤრისტესსა? და უკუეთუ გნებაჳს, გაუნყო ძალი და საქმე ღმერთთა თქუენთაჲ, რომელთასა ეგე მიბრძანებ თაყუანის-ცემასა და გნებაჳს წარწყმედაჲ ჩემი. Ⴤრა, არამედ ვყოთ სიტყუს-გებაჲ, მიიყვანენ მწერალნი, განჳჳსნენ საკრველნი ჩემნი და ვიტყოდით ურთიერთას».

შაშინ ევედრა ერი იგი ყოველი, რაჲთა ყოს ეგრეთ, ვითარ ითხოვა **სანსოფიოს**. ძიუგო მთავარმან წმიდასა მონამესა: «იტყოდე, რაჲ იგი გნებაჳს სიტყუად ჩუენდა». **სრქუა** წმიდამან **სანსოფი**: «რომლისა ღმრთისა მიბრძანებ მე თაყუანის-ცემად?» მიუგო მთავარმან, ვითარმედ: «დიდსა ღმერთსა **ღიოსს**». **სანსოფიოს** ჰრქუა: «მითხარდა მე ამისი, თუ ვინაჲ გამოჩნდა, ანუ რომელი წიგნი უბრძანებს კაცთა გებად მისსა?» ხოლო მთავარი იგი დაყუდუნებულ იქმნა მყოარჳამ და მერმე ჰრქუა მას: «გვთხარდა პირველად შენ, **სანსოფი**, თუ

რომელსა ღმერთსა ესავ, რომელი, ვინაჲთგან თუალითა არა გიხილავს, ანუ რომელი წიგნი არს მაუნყებელ მისსა?» **სანსოფიოს** ჰრქუა: «ვითარ გინებს, პირველად უკუე გითხრა იმრთისა ჩემისაჲ, ანუ თუ ღმერთთა თქუენთაჲ?»

5. ძიუგო მთავარმან და ჰრქუა: «ვინაჲთგან ერთგზის მოგეცით ფლობაჲ სიტყუს-გებად ჩუენდა, იტყოდე პირველად მას, რომელიცა გნებაჳს». **ქუა** წმიდამან **სანსოფი**: «რაჲ უმჯობეს არს ჩემდა სიტყუად შისსა, ჰომელმან იგი შემქმნა მე, გინა მსახურებად შისა ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა. ჰამეთუ მიილო მიწაჲ ქუეყნით და კაცად პირმეტყუელად დამბადა მე. **წმისი** ჯერ-არს თაყუანის-ცემად და არა **ღიოჲსი**, რომელი ქმნულ არს ჳელითა კაცთაჲთა».

ძიუგო მთავარმან **ჯვლესტალიოს** და ჰრქუა: «გვთხარ ჩუენ განმარტებულად. Ⴤითარ შექმნა იმერთმან შენმან კაცი». შაშინ თქუა წმიდამან **სანსოფიოს**: «ცაჲ და ქუეყანაჲ, მზე და მთუვარე და ყოველნი ვარსკულავნი, ვიდრე შესაქმედმდე კაცისა შეიქმნეს სიტყუთა იმრთისაჲთა; და ეგრეთვე ოთხფერწნი და მფრინველნი, მვეცნი და ყოველნი ქუენარმავალნი, და მაშინლა შექმნა კაცი ხატად **ქუსა**. Ⴤა ყოველივე ქუეშე ფერჳთა შისთა დაამორჩილა, რამეთუ ბრძანა: „იყავნ სამყაროჲ, მზე და მთუარე“, და სიტყუად იგი შისი საქმე იქმნა. Ⴤა არს იგი იმერთ და დამბადებელ ყოველთა. Ⴤა არა ეგრეთ არს, ვითარ ეგე თქუენ მიჩრებთ მზესა და მთუვარესა და ვარსკულავთა ღმრთეებასა».

ღა აჰა ესერა გვცნობიეს და უწყით, ვითარმედ **ღიოს** ღმერთ სადამე იყო? და სხუანი იგი ღმერთნი **წპოლონ** და **წფროდიტე**, **წრტემის** და **სალას**, **სერმეს** და **წსკლიპიტოს**, და სხუანი იგი კერპნი, რაოდენნიცა არიან მთავარ? და უკუეთუ გინებს, ვიტყოდი, თუ ვინაჲ გამოჩნდა საცთური იგი ბოროტი იგი კერპთ-მსახურებაჲ, გინა თუ ვინ იყო პირველ მიზეზი დანყებისა მისისაჲ».

6. ძიუგო მთავარმან და ყოველმან სიმრავლემან: «იტყოდე **სანსოფიოს**, იტყოდე და ნუღარა განჳკუეთ თხრობასა მაგას».

ქოლო საკრველმან **სანსოფი** იწყო სიტყუად კულადცა და თქუა: «დასაბამსა შექმნა იმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ, და ყოველნივე ხილულნი და არახილულნი; და შექმნა რაჲ კაცი, განმრავლდა მიერთგან ქუეყანასა ზედა ნათე-

სავი კაცთაჲ. ნა მოაკლდა მათგან მეცნიერებაჲ დამბადებელისაჲ და არღარა ვიდოდეს გზათა ქვემარტივებისათა. ნა დაადგინნა მათ ზედა მსაჯულად ონგელოზნი. ღოლო მათ არცა ეგრეთ დაუტევეს თჳსი უკეთურებაჲ შეყუარებითა უსჯულოებისაჲთა, და ფიცართა ქვისათა დანერეს მომავალისა მისთჳს წყლით-რლუნისა. ჟამეთუ ქუეყანასა ზედაცა უწყოდინ ესე კაცთა. ნა ვინაჲთგან არა შეიშინეს მათ იმრთისა, განრისხნა მათ ზედა შუუფე იგი საუკუნოჲ და ნარწყმიდნა იგინი. ღოლო დაშთა **ჩოე** და ძენი მისნი კილოზნითა მით, რომლისა ქმნაჲ უბრძანა იმერთმან.

ნა ვითარ დასცხრა რლუნაჲ იგი წყალთაჲ, გამოვიდეს იგინი მიერ კილოზნით. ნა განიყვნეს ტომად-ტომად ნათესავნი იგი **ჴამისნი**, და პოვნეს ფიცარნი იგი ქვისანი და შექმნეს იგინი წიგნად. ნა მიიწია წიგნი იგი ნათესავითი-ნათესავად. ნა ვითარ ხუდა იგი უკანაჲსკნელ ველსა **სანესსა** და **სანბრესსა**, რომელნი იყვნეს ტომნი **ჴამისნი**, აღსავსენი გრძნებითა ბოროტითა. ღოლო ვითარ აღმოიკითხეს მათ წიგნი იგი ნაბადებისაჲ, განიზრახეს ბილნთა მათ და თქუეს, ვითარმედ: «ვექმნეთ ჩუენცა ეგრეთვე სამოთხე, რაჲთა იყოს იგი განსასუენებელად ჩუენდა». ნა მოუწოდეს მათ ეშმაკთა ბოროტთა და ჰრქუეს: «მომართვთ ჩუენ ყოველთა ნერგთაგანი, რაჲთა დავასხათ სამოთხე **სეკატეს**, ვითარ იგი დასაბამსა ქმნა იმერთმან სამოთხე. ნა ეგრეთვე ჩუენცა დავადგინოთ ერთი თქუენგანი მცველად ბქეთა მისთა, რაჲთა არავინ კაცთაგანი შევიდეს მუნ. ნა იყოს იგი განსასუენებელ ჩუენდა».

ნა ქმნეს რაჲ ესე ყოველი და დაასხეს სამოთხე აღსავსე ყოველთა ნერგთა მიერ, დაადგინნეს მცველად მისსა ეშმაკნი. წინაჲცა იყო ეგრეთვე სამოთხე იგი და მცველნიცა იგი მისნი ბოროტნი, ვიდრე დღეთამდე საკრველისა **შაკარისთა**, რომელი იყო მეუღაბნოე. ოსე ნეტარი მიემთხვა რაჲ სამოთხესა მას, ფრიად სთნდა იგი და თქუა, ვითარმედ: «კეთილ არს ესე მეუღაბნოეთათჳს და კაცთაგან მიუვალობისა». ნა განასხნა ძლიერებითა საღმრთოთა მიერ ბოროტნი იგი ეშმაკნი. ნა ნარმოვიდა და შეკრიბნა მამანი, რაოდენნიცა იყვნეს უდაბნოს, და ესრეთ აუნყა სიკეთე და ნაყოფიერებაჲ მისი.

ღოლო ერთმან მათგანმან ჰრქუა მას: «ნუ უკუე განსუენებითა ამით სამოთხისაჲთა ვი-

პოვნეთ ჩუენ უცხო ქვემარტივისა მის სამოთხისაგან». ნა იქმნა დამაბრკოლებელ მათდა სიტყუად იგი და არღარა ნარვიდეს იგინი. ჩარგდა სამოთხე იგი და დამასხმელნიცა მისნი. ორამედ ეშმაკი ეგრეთვე ეგო და ეძიებდა ღონესა, რაჲთამცა უგო საბრვე ნარმწყმედელი კაცთა ნათესავსა. ნა იხილელა, თუ რაჲ ყო სულთა მკლველმან მან და მაცთურმან.

7. ჟამეთუ ველმწიფესა ვისმე დიდსა, შვილი მოუკუდა პირმშოდ და ფრიად საყუარელი. ღოლო ვითარ იხილა ეშმაკმან გარდარეული იგი ტყეებაჲ და გლოვაჲ მისი, შეიცვალა სახედ მეგობრისა მისისა და მოვიდა და ჰრქუა მას: «ქმენ ძეგლი ოქროსაჲ მსგავსი ძისა შენისაჲ. ნა რაჴამს იხილვიდე მას, დაიდგინებდე მის მიერ სურვილსა ძისა შენისასა». ნა შექმნა მან ძეგლი ოქროსაჲ სახედ ძისა მის თჳსისა და უწოდა იგივე სახელი **ხეეს**. ნა ეგრეთვე ქმნა უკუანაჲსკნელცა სხუათა მათ შვილთა ძეგლები, რომელნი შვნა და მოუკუდეს. ნა დასდვა მათ იგივე სახელები, ერთსა **წიოს** და ერთსა **წრტემი**. ნა იწყეს მიერთგან ყოველთავე უგუნურთა კაცთა აღმართებაჲ კერპებისა, რომელნიცა იქმნნეს სადგურ ბოროტთა ეშმაკთა. ნა ამით ღონითა განაყენნა კაცნი შემოქმედისაგან მათისა და იმრთისა, და ყვნა მსახურ თჳსა თაყუანის-ცემითა ყრუთა კერპთაჲთა, რომელთათჳს იტყჳს წინანარმეტყუელი, ვითარმედ: «პირ ათქს და არა იტყჳან. ოუალი ასხენ და არა ხედვენ. ოსგავსნეს მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვიდენ მათ»(ფს.113,13). ნა ქვემარტიად, რომელნიცა ესვენ, მსგავს მათდა არიან.

8. ღოლო იხილა რაჲ იმერთმან, რამეთუ მიდრკა ერთცა იგი, რომელი იცნობდა მას, მასვე ბოროტსა მონებასა, გამოიყვანა იგი **სეკატით** და მისცა მათ სჯული და იცნეს კუალად იმერთი და თაყუანი-სცეს მას. ოარნა არავე დასცხრა დასაბამი იგი ბოროტთაჲ ეშმაკი, არამედ აქმნია ჳბოჲ, რაჲთამცა თაყუანი-სცეს მას. ნა კუალად სრულიად ამისა, არნმუნა მოსრვაჲ წინანარმეტყუელთაჲ, რაოდენნიცა მოავლინნა იმერთმან მათდა მიმართ.

ღოლო ამისსა შემდგომად მოავლინა იმერთმან ძე ოუსი ქუეყანად. ნა კაც იქმნა ოგი წმიდისაგან ჴალწულისა, რაჲთა განაქარვოს საცთური იგი და იწსნეს ნათესავი კაცთაჲ ველთაგან ბოროტისა ეშმაკისათა. ნა იქცეოდა ოგი ქუეყანასა ზედა ვითარცა კაცი და

იქმოდა სასწაულთა დიდებულთა ერსა შორის **სურიათასა**.

ჲლოლ შეითქუნეს ბოროტნი იგი **ჰურიანი** და შურითა მოკლეს ჴგი ჴორცითა, ჴომელი იგი უკუდავ არს და უვნებელ იმრთებითა. ⁵ **თა** განავლინნა მონაფენი **ჩუსნი** ყოველსა ქუეყანასა, აღ-რად-დგა ჴგი მკუდრეთით დიდებით მესამესა დღესა, და მისცა მათ ჴელმწიფებად აღსრულებად დიდ-დიდთა სასწაულთა, რომელთაცა მიმოდასთესეს ქადაგებად იგი, ¹⁰ განერნეს ჴელთა ბოროტისა ეშმაკისათა, ხოლო რაოდენთა არა შეინყნარეს, ჰგიან მასვე საცთურსა შინა და ბნელსა უკუნსა კერპთ-მსახურებისასა.

წჰა, გაუწყე თქუენ დასაბამი ღმერთთა თქუენტაჲ, და თუ ვინაჲ გამოჩნდეს იგინი, ანუ რაჲ არს ძალი მათი, რომელსა თვთ თქუენცა კეთილად მეცნიერ ხართ». **სე** რაჲ ესმა, ყოველთავე განუკვრდა და ვერარაჲ მიუგეს მას ამათ სიტყუათათს.

9. **ჲლოლ** იყო ვინმე მწიგნობარი, რომელსა ეწოდებოდა **ზიკინიოზ**. **სე** აღივსო სიბრძნითა და აღდგა საჯდომელთაგან თვსთა და თქუა ესრეთ: «ჭეშმარიტად სიბრძნე იტყოდა კაცისა ამის თანა». **თა** მერმე ჰრქუა წმიდასა: «მრწამს სიტყუათა შენთაჲ ამიერითგან, ნეტარო და ყოვლად-ბრძენო **სანსოფიე**. **თა** ვიყო ამიერითგან მეცა მონა იმრთისა შენისა». **სრეთ** რაჲ იხილა მეტყუელად, იგიცა აღივსო გულის-წყრომითა **ჯვლუსტალიოს** და გარდაიპო სამოსელი თვისი, და ეტყოდა ერსა მას მკსინვარედ და ჰრქუა: «აჰა, განისუენეთ თქუენ მიქცევითაცა ამის კაცისაჲთა. **ჩამეთუ** თქუენ ხართ მიზეზნი ამისისა წარწყმედისანი, ვინაჲთგან ინებეთ **სანსოფიესი** ესეოდენსა მეტყუელებად». **თა** მერმე მიექცა **ზიკინიოზს** და ჰრქუა: «დასცხერ, საყუარელო **ზიკინიოზ**, მეტყუელებად ეგევითარისა. **თა** ჩუენ ვევედრნეთ შენთვს ყოველთა კერპთა მამასა **ზევსსა**, რაჲთა მიგიტეოს აწინდელი ეგე ცთომილებად შენი. **სიუგო** **ზიკინიოზ** და ჰრქუა: «ისმინე, მთავარო. **ჩამეთუ** მე დიდად ვესავ სიბრძნესა ამის კაცისასა, და ვინანი ფრიად გარდასრულთათს უმეცრებითა ცოდვათა ჩემთა. **თა** ჭეშმარიტად მრწამს იმერთად ჭეშმარიტად **სესუ** ჴრისტე, ჴომელსა ესავს კაცი ესე ბრძენი **სანსოფი**. **თა** გამზადებულ ვარ დათმენად ტანჯვათა სახელისა შისისათვს».

შაშინ უბრძანა მთავარმან წარყვანებაჲ

მათი საპყრობილედ. **თა** შე-რად-ვიდეს ნეტარნი იგი საპყრობილედ, იწყო წმიდამან **სანსოფი** ლოცვად იმრთისა მიმართ და თქუა: «დიდებაჲ შენდა, მპყრობელო ყოველთა ხილულთა და უხილავთაო, **ოფალო** და იმერთო, ჴელის-ამპყრობელო და მცველო ყოველთა მოსავთაჲ შენთაო, ჴომელმან მოგუხედენ ჩუენ და დაგვფარენ საფარველითა შენითა. **თა** აწცა, **შეუფეო** სახიერო, შემუსრენ ღონენი მტერისანი და მოეც სიბრძნე და გულის-ხმის-ყოფაჲ, რომელნი ყოველითა გულითა მოსრულ არიან შენდა. **თა** გვცვენ, **ოფალო**, მონყალეებითა ჴელისა შენისაჲთა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნისამდე». ესე რაჲ ილოცა წმიდამან, ¹⁵ მერმე იწყეს კითხვად მისა მათ საპყრობილისათა სარწმუნოებისათვს და აღდგომისა.

10. **სრქუა** მათ საკვრველმან **სანსოფიოს**: «უკუეთუ გინებს ჭეშმარიტად სმენის, მე ვითხარ თქუენ ყოველივე. **ჩამეთუ** უწყი მე, ²⁰ ვითარმედ სწორ ვარ მე სანატრელთა მათ, ვინაჲთგან მოგუხედნა ჩუენ **ოფალმან**, და ვიცანთ ჭეშმარიტებაჲ». **ზიკინიოზ** ჰრქუა: «გევედრები შენ, მითხარ მე, თუ ვინ არიან ანუ ვინაჲ სანატრელნი, რამეთუ არა მოიწესენეს მათთვს ბრძენთა, არცა **სიბილიოს**, არცა **ქერენტიოს**, არცა **სალოსტიოს** და არცა **ხერენკიოს**. **სიუგო** წმიდამან **სანსოფიოს** და ჰრქუა: «უკუეთუ არა დაუტეო სიბრძნე იგი **სიბილიოსსი** და სხუათა მათ ბრძენთაჲ, ვერ შემძლებელ ხარ ცნობად სიბრძნისა მის ჭეშმარიტისა, რამეთუ **ჯერეთ ჩჩვლ** ხარ სარწმუნოებასა ზედა. ხოლო ვითხრა შენ, თუ ვინ არიან სანატრელნი იგი, ანუ ვინაჲ არს საქმე მათისა დასაბამისაჲ».

სრიან იგინი ნათესავისგან და ტომისა **სრაჭლისა**. **თა** მკვდრ იყვნეს იგინი პირველად **სერუსალჴმს**, და რაჟამს მოოჭრდებოდა **სერუსალჴმი** **სსურთაგან**, ჰრქუა წინაწარმეტყულსა თვსსა **სერემიას**, ვითარმედ: «წარვედ და ეტყოდე შენ ძეთა **სონადაბისთა**, ძის-წულთა **ჩექაბისთა**, და არქუ: ჴორცი არა სჭამოთ, და ღვწოჲ არა სუათ, და სამოსელი არა შევიმოსოთ». **თა** ისმინეს ჴმაჲ იგი წინაწარმეტყულისაჲ ძეთა მათ **სონადაბისთა**, ძისწულთა **ჩექაბისთა** და ჰრქუეს: «სამოსელი არა შევიმოსოთ, და ჴორცი არა ვჭამოთ, და ღვწოჲ არა ვსუათ». **თა** ჰრქუა **ოფალმან** მეორედ **სერემიას**: «რამეთუ ისმინეს ჴმაჲ ჩემი ძეთა **სონადაბისთა** და დაიცვნეს მცნებანი მამისანი, არა მოაკლდეს ნათესავი მათი წინაშე ჩემსა უკუნისამდე».

ბა დაფარნა იგინი ღრუბელმან ოვრება-
 სა მას და არა წარიტყუენეს სხუათა მათ
 თანა. წრამედ წინა წარუძღუა მათ მდინარე
 წყლისაჲ და მივიდეს ადგილსა მას, სადაცა
 იგი ბრძანებულ იყო დამკვდრებაჲ მათი და
 მერმე განჴმა მდინარე იგი. ბა უჩინო იქმნა
 გზადცა იგი. ბა ან მკვდრ არიან იგინი მუნ
 და არავის კაცთაგანსა ჳელენიფების ხილვად
 მათდა და არცა მისლვად ადგილსა მას, რა-
 მეთუ დაფარულ არს ყოველთაგან გზად იგი.
 ბა არიან იგინი ყოვლად-უცოდველი, არამედ
 არა უკუდავ არიან. ჴამეთუ თვთოეულმან
 დაუტევის შვილი ნაცვალად თჳსა, და მამათა
 წილ იშვის წული და დედათა წილ იშვის ქალი.
 ბა ოდეს იქმნიან სამეოც და ათ წლის, მაშინ
 უკუე იქორწინიან, რამეთუ ფრიად მრავალ-
 ჟამ ცხონდებიან იგინი. ბა ამის ესევეთარი-
 სა საღმრთოჲსა მოქალაქობისათჳს ეწოდების
 მათ სანატრელ, რამეთუ ესრეთ არს ცხორებაჲ
 მათი».

11. შერმე ჰრქუა წმიდასა ნეტარმან **ზი-
 კინიოზ**: «ან მითხარ მე აღდგომისათჳს და
 სასჯელისა, რამეთუ წარმართთა ამისთჳსცა
 თქუეს. ოწყი, ვითარ იგი დანერა **არბილ-
 იოს** შთასლვისა შემდგომად ჯოჯოხეთად,
 და წარსლვისა შემდგომად სატანჯველისა,
 და შემდგომად ჳმასა მას **სპარსთასა** და სიმ-
 დიდრესა ვითარ იგი იყოფვიან. ბა განვალს
 ყოველი სოფელი მდინარესა მას ცეცხლისასა,
 ვითარ იგი განვლეს ყოველი სატანჯველი და
 შევიდეს ზღუდესა მას, სადა იგი ზის და ქნარი
 აქუს **არფისს** და ყოველი სოფელი ისმენს
 ჳმასა მას მისსა. შუნ დგას შანთი იგი ნათლი-
 საჲ და მის ნათლისაგან გამოიღებს ყოველი
 ჳორციელი სულსა და ვითარ მოკუდის სული,
 მიიქცის მისვე ნათლისა. ბა თუ ვინმე ცოდის,
 იგი სატანჯველსა მიეცის. Ⴀსე ჩუენ **არბილ-
 იოს** გვთხრა ყოველი. წრამედ ვითარმე შეჴ-
 ვრაცხოთ ჩუენ თქუმული ესე?»

წმიდამან **სანსოფი** მიუგო: «ჰც უფალო,
 მეცა აღმომიკითხავს იგი. წრამედ მითხარ-
 ლა შენ ესე, რომელმან ეგე თქუა, ვინ შექმნა
 იგი?» ვერარაჲ მიუგო ამისთჳს **ზიკინიოზ**, არ-
 ამედ ესე ოდენ ჰრქუა: «არა უწყი ესე, უფალო,
 გარნა თუ შენ მაუწყო მე». შიუგო წმიდამან
სანსოფიოს და ჰრქუა: «ან ისმინე და გითხრა
 შენ ეგე ყოველი. Ⴀსე **არბილიოს** სიძვით იშვა.
 ბა ვითარ შვა დედამან მისმან უდაბნოსა ადგ-
 ილსა, მუნვე დაუტევა იგი და თვთ წარვიდა

საყოფლად თჳსსა. ბა მეყსეულად მოვიდეს
 ფუტკარნი და ვითარ მდებარე იყო ყრმაჲ იგი,
 ბუდე იდგეს პირსა მისსა სიმრავლემან მან
 ფუტკარმან. ბა იზარდებოდა თაფლითა ყრმაჲ
 იგი. ბა შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა
 დედაჲ მისი ხილვად მისსა და პოვა ყრმაჲ იგი
 ცოცხალი და აღზრდილი, და წამოიყვანა იგი.
 ბა მიერითგან მოეცა მას სიბრძნე და სიტყუაჲ
 ზრახვად ზეცისასა.

და იყენეს მას ჟამსა ბრძენნი იგი ამის სოფ-
 ლისანი კერპთა საცთურითა შეჴყრობილ, და
 გარდააქციეს მათ სიბრძნე იგი მისი ვითარცა
 უნდა მათ. ბა რომელსა იგი **არბილიოს** იტყო-
 და, არა **სავლე** მოციქულმან გვთხრაა ჩუენ
 გამოცხადებასა მას მისსა? რამეთუ იტყვს,
 ვითარმედ სადა იგი ზღუად არს და **არფეს**
 ზის და ყოველი სული ერჩის მას. Ⴀგი არს ქა-
 ლაქი ჴე(!) და მუნ **ბავით** გალობს და ყოველი
 სული ერჩის. ღოლო მდინარე იგი ცეცხლისაჲ
 და ჳმად იგი **სპარსთად**, რომელი ეუფლების
 სულსა წარმართთასა, არამედ ან წარმოტყუ-
 ენნა იგი ოფალმან, შთა-რაჲ-ჳდა იგი ჯოჯოხ-
 ეთად, და შექმნა იგი ამაოდ. ღოლო რაჟამს
 ვცოდოთ და არა მოვილოთ ბეჭედი ჴრისტესი,
 მაშინ ვიყვენთ ჩუენ სასჯელსა ქუეშე, და არცა
არბილიოს და არცა სხუათა ღმერთთაგანი
 შემძლებელ არს ჳსნად ჩუენდა».

შამინ **ზიკინიოზ** შეუერდა ფერჳთა წმიდი-
 სა **სანსოფიოსისთა** და ჰრქუა: «მასწავე მეცა,
 მონაო იმრთისაო, სრული ეგე სიბრძნე და
 იმრთივ-მონიჭებული მეცნიერებაჲ, რამეთუ
 ტკბილნი მესმოდეს მე სიტყუანი შენგან». ში-
 უგო წმიდამან და ჰრქუა მას: «გრწმენინ შეუფე
 ცათაჲ, ჴომელმან ყოველი სული სიტყუთა შე-
 ქმნა, და სიტყუაჲ იგი შისი, ოფალი ჩუენი
 Ⴀესუ ჴრისტე და ჴმიდაჲ იგი და ცხოველს-მყ-
 ოფელი სული, და მოგეცეს შენ სიბრძნე იგი
 ყოვლად-ჭეშმარიტი. წრამედ უკუეთუ გნებაჲს
 მოღებად ჴრისტესგან გვრგვინსა წამებისასა,
 არღარა არს საჳმარ სიბრძნის-მეტყუელებად
 წინაშე მძღავრთაჲსა, რაოდენცა იგი ძალ-გედ-
 ვას ძღვევად მათდა. Ⴀინ უწყის, ნუუკუე იქმნეს
 დაბრკოლებაჲ ჳეშმარიტისგან. წნუ მე არა
 უძლიერეს ვარა სწავლულ სიბრძნესა წარმ-
 ართთასა უფროჲს შენსა? წრამედ მნებაჲს,
 რაჲთა არარაჲ ვიცოდი, და რომელი იგი მწა-
 დის, იგი შევიძინო».

შიუგო **ზიკინიოზ** და ჰრქუა წმიდასა მას:
 «ვითარცა ესე ყოველი კეთილად მაუწყე, ან

გვედრები შენ, რაათა მაუნყო მე ესეცა, რომელი სჯული ბრძანებს შესანიშნავსა, ოდეს მოკუდეს კაცი მისთვის?» მიუგო მას წმიდამან **სანსოფიოს** და ჰრქუა: «არა გარქვა, ვითარმედ უკუეთუ მინდეს, უფროჲს **შემოსონესსა** ვიტყოდი და უფროჲს **სლატონისსა** და **სრისტოტელესსა**. ოკუეთუ აქა მოვილი გვრგვნი ძლევისაჲ სიბრძნითა ამის სოფლისაჲთა, გვრგვნიჲსა მის წილ უხრწნელისა ნაკლულევან ვიპოო. **თა** მინდეს თუ, რაათა ვსძლო მთავარსა, ვიქმნა ძლიერ ვითარ **სქილევ** და ვერაგ **ხევს**, ანუ მრისხანე ვითარ **სას**, ანუ გულმწერალ ვითარ **სრაკლი**. **სრა**, არამედ ესე ყოველი სიბრძნე წარმართთაჲ არს. **სწ** გეტყვ შენ, რამეთუ ვიცი მეცა, არამედ მეცნიერებაჲ განვაქარვე და შევიწყნარე სანატრელი სასობაჲ და აღდგომაჲ ოფლისა ჩუენისა **სესუ** ჟრისტესი, ჟომლისაჲ არს მეუფებაჲ დაუსრულებელთა საუკუნეთა».

თა ვითარ იგინი ესრეთ მეტყუებოდეს, მყის განიპო ზღუდე იგი სახლისაჲ მას ადგილსა, რომელსა იგი მსხდომარე იყვნეს, და გამოვიდა მიერ მსგავსი რაჲმე დედაკაცისაჲ ნაქმნევ ხენეში. **თამეთუ** იყო სამოსელი მისი ვითარცა მწვრე და კუბასტი მისი ვითარცა ტყავი ვეშაპისაჲ და ფერი მისი ვითარცა ვეცხლისაჲ, და თუალნი მისნი ვითარცა ცეცხლნი, პირი მისი შავ ვითარცა მელანი, და თმანი თავისა მისისანი იყვნეს ვითარცა გუელნი, შუბლსა მისსა იყვნეს რქანი ვითარცა ვერძისანი, და ზურგსა ზედა მისსა იყვნეს ფრთენი, და ჳამლად ესხნეს მას ნაკურცხალნი ცეცხლისანი, ენაჲ მისი შავ და გესლიან ვითარცა ასპიტისაჲ.

თა უპყრა **სიკინიოზს** და მიიზიდვიდა მისა მძლავრებით და იტყოდა: «მოვედ, გინესს შენ უფალი **სპარსთაჲ**, საფასე აქუს და გელის შენ. **თა** ეგრეცა **სირიკერპიროს** ძალლი. **თამეთუ** განრისხებულ არს დიდი მეფე და ყოველნი კერპნი, რამეთუ დაუტევენ შენ იგინი. **თე** ვარ ერთი მათგანი და მოვლინებულ ვარ მიყვანებაჲ შენდა». **თა** ზიდვიდა რაჲ ესრეთ ბოროტი იგი, ჳმაყო ზარგამწვილმან **სიკინიოზ** წმიდისა **სანსოფის** მიმართ და ჰრქუა: «მემენიე, ოფალო ჩემო, რამეთუ აჰა ესერა ბრძოლასა შინა ვარ მე და ურცხვნოებით მიმიზიდავს მე ბოროტი ესე». **ჴოლო** წმიდამან აღიხილნა თუალნი თვისნი ზეცად მიმართ და თქუა: «**შეფეო** საუკუნეთაო, უკუდავო, **შამაო** ოფლისა ჩუენისა **სესუ** ჟრისტესო, შეგუენინე ჩუენ».

თა მერმე უპყრა რქაჲ მისი და უბრძანა **სიკინიოზს**, რაათა უპყრას მანცა უშიშად რქაჲ იგი ერთკერძოჲ, და ვითარცა აქუნდეს რქანი მისნი ჳელთა მათთა. **თერმე** ჰრქუა წმიდამან უკეთურსა მას: «ან რაჲ გნებავს, ეშმაკო, განგიტეოა? თქუ შენ». **თინაჲცა** **სიკინიოზ** განძლიერებულმან ჰრქუა წმიდასა: «განვზიდნეთ და განვხეთქოთ ბოროტი ესე». **ჴოლო** ეშმაკი იგი ევედრებოდა საკურველსა **სანსოფის** და ეტყოდა: «გაფიცებ შენ თავსა უკუდავისასა, ნუ განმხეთქ მე. **თა** უკუეთუ განმიტეო, აღვიარო ყოველი, რაჲ იგი ვიზრახე მე. **თამეთუ** მოვედ ცთუნებაჲ მაგათა და შეშინებაჲ და ამისთვის ხატი ესე შევიმოსე. **სირველად** ჩუენ თაყუანის-გუცემდა **სიკინიოზ**. **თა** მენება კუალად მიყვანებაჲ ჩუენდავე და ვერ შეუძლე. **თა** ან გვედრები შენ და გაფუცებ სამთა საფუძველთა იმრთისათა».

ჴოლო წმიდამან **სანსოფიოს** ჰრქუა მას: «**ვფუცავ** შეუფესა ცათასა, არა თუმცა გუაფუცე ჩუენ, არამცა განგიტევე შენ. **თა** ან გაფუცებ შენ იმერთსა, ჟომელმან შექმნა ყოველი, ჟომელი იგი **სუარს-ეცუა** ჩუენთვის **პონტოელისა** **სილატესსა** ზჭ. **ნუ** გუავნებ ჩუენ და ნუცა სხუათა, რომელნი ესვენ ოფალსა». **თა** ვითარ განუტევეს იგი, ჰრქუა ეშმაკმან მან: «გეფუცები მაგასვე ფიცსა, ვითარმედ არარაჲ გავნო თქუენ პირის-პირ. **ჴოლო** არაჲვე დავსცხრე ვიდრე აღსასრულამდე ამის სოფლისა ბრძოლად მართალთა. **თა** ესე უწყოდეთ თქუენ, რამეთუ ესევეითართა კაცთაცა ვერ უძლეს განტვნვაჲ ჩემი, ვითარ იგი იყვნეს **სეტრე** და **სავლე**, და ან თქუენ გენება განხეთქაჲ ჩემი. **სრამედ** მე ესე ვყო თქუენ ზედა და სხუაჲ არაჲ გავნო თქუენ. **თამეთუ** მოვამდოვრო გული მთავრისაჲ, რაათა არა აღგასრულნეს თქუენ და არცალა მიილოთ თქუენ იმრთისგან ძლევისა გვრგვნი და ვერღარა მიემთხვნეთ სანადელსა თქუენსა და არცალა ენოდოს ძუალთა თქუენთა ნაწილ მონამეთა». **თა** ვითარცა ესე თქუა ბოროტმან მან, მეყსეულად უჩინო იქმნა.

12. **ჴოლო** ნეტარმან **სანსოფიოს** ჰრქუა **სიკინიოზს**: «**აღდეგ** ძმაო და ვევედრნეთ ოფალსა, რაათა დაჰჳსნნეს ღონენი მტერისა ბოროტისანი აღძრულნი ჩუენ ზედა და გჳსნნეს მზაკუევარებათა მათთაგან მრავალსახეთა». **თა** აღდგეს იგინი და იწყეს ღოცვად იმრთისა მიმართ ცრემლითა მჳურვალითა და

ევედრებოდეს, რადთა არა დაკლებულ იქმნენ საწადელისაგან [...]ისისა წამებისა. თა წარვიდა ბოროტი იგი ეშმაკი და შეუჭდა გულსა მთავრისასა, და დაამშვდა იგი წმიდათა მათ მიმართ.

თა ხვალისა დღე ვითარ დაჯდა საყდარსა ზედა თვსსა, ბრძანა მოყვანებად მათი წინაშე მისსა. თა ვითარ წარმოადგინნეს იგინი, ჰრქუა მას მთავარმან: «გევედრები თქუენ, **ზიკინიე** და **სანსოფიე**. ჟომელთა ეგე არარად გიქმნიეს ბოროტი, უკუეთუ გინებს ჩემ თანა ყოფის, მოვედით, და უკუეთუ არა გინებს, წარვედით სადაცა გნებავს, რამეთუ უბრალონი ხართ».

13. ღოლო ეშმაკი იგი იქმნა სახედ მწიგნობრისა, და ჴელთა აქუნდა ქარტად და აღსწერდა სიტყუასა მას მთავრისასა წმიდათათვს განჩინებულსა, რადთა აღწერით უქცევდელ იყოს განჩინებად იგი. თა ვითარ იხილა არანმინად იგი ნეტარმან **სანსოფიე**, ჰრქუა მას: «ჴსულო ბოროტო, დაღათუ დაკლებულ ვიქმნეთ ჴრისტესთვს წამებასა, არამედ არავე დაკლებულ ვიქმნეთ წყალობისაგან მისისა. ჟამეთუ ეგრეთცა ვილუწნოთ გვრგვნისა მისთვს უსისხლოდ შეთხზნულისა მოლუწანებათა მიერ კეთილთა და ნათლის-ღებისა სულიერისა».

თა ვითარცა განუტევენა იგინი მთავარმან მან, მეყსეულად წარვიდეს უდაბნოსა მას, სადა იგი იყოფებოდა პირველ ნეტარი და ყოვლად-ბრძენი **სანსოფიე**. თა მივიდეს მათ თანავე სხუანიცა ვიეთნიმე მორწმუნეთაგანნი. თა ნათელ-სცა მათ და ასწავა იმრთის-მეცნიერებად და იტყოდა ესრეთ: «მოვედინ ჩუენ ყოველთა ზედა მადლი შამისა და ძისა და ჴოვლად-წმიდისა სულისა. თა გუეყავნ ჩუენ წყალი ესე ნათლის-ღებისა და განმანათლებელ გულთა და გონებათა ჩუენტა, რადთა დაიძკდროს ჩუენ თანა ძალმან საღმრთომან და მტერნი ჩუენნი ვერად გუერეოდინ ჩუენ».

ღოლო მისცა თავი თვსი წმიდამან **სანსოფიე** პირველსავე ჩუეულებასა, მარხვასა ვიტყვ და ლოცვასა და გარდარეულსა მღვდარებასა. თა ესე რად იხილა **ზიკინიოზ**, ჰრქუა წმიდასა **სანსოფიოსს**: «უფალო ჩემო **სანსოფიე**, ვინაფთგან ქორწინებასა აღგირჩევიეს ყოფად უდაბნოს, ესე რად არს, რომელ ყოველთა კაცთასა უმეტეს შეგიცვალეებიეს მოქალაქებად შენი და სახე, რამეთუ თმანი თავისა შენისანი მოუწყობელ არიან; და კუართი ეგე შენი ძაძისად არს და არა სჭამ ჴორცსა და არცა

სუამ ღვნოსა; და ჰურსაცა არა მიიღებ თვნიერ ერთგზის ხოლო კვრიაკესა შინა».

14. შიუგო საკვრველმან **სანსოფიოს** და ჰრქუა მას: «ისმინე ძმაო **ზიკინიოზ**, და გაუნყო მაგის პირისათვს ყოველივე კეთილად. ჟამეთუ ჯერეთ უმეცარ ხარ შენ და არცა უწყი, თუ რად არს ძალი არაქორწინებისად და შეყუარებად ქალწულებისად, და რად არს ძალი მარხვისად ანუ სახისა შეცვალეებისად. 10 შო-რად-ვიდა მწსნელი ჩუენი შესუ ჴრისტე და კაც-იქმნა ჩუენისა წსნისათვს, დაგტევა ჩუენ სახე და მცნებად, რადთა ვიყოფოდით სინმით და ქალწულებით, რადდენთაცა ინებონ იგი მოგებად. თა მარხვად ამის განგვწესა, 15 რადთა მოკუდინებითა ჴორცთაფთა ახოვნად ვსძლევდეთ აღძრვასა ბოროტთა და ბილნთა გულის-თქუმათასა. ღოლო შეცვალეებად სახისა და სამოსლისად ამისთვს შემეცვალეებიეს, რამეთუ ცოდვილ ვარ და ვიგლოი და ვინანი 20 ცოდვათა ჩემთათვს.

შითხარლა **ზიკინიოზ**, უკუეთუ ცოდოს კაცმან კაცისა მიმართ, არა შეაგდოსა იგი საპყრობილედ? და დაყოვნებასა ჟამისასა საპყრობილესა მას შინა შეიცვალის ყოველივე 25 სახე კაცისად მის. თაბაყლდის სამოსელი, განირყუნიან თმანი, დაჰწსნდის ძალი და დაითმინის ფრიადი უპოვარებად საზრდელისად. თა ვინაფთგან ძალ-უცს კაცსა ესე ყოველნი დათმენად კაცისა მიერ თვსისავე მსგავსისა 30 შემთხუეული, რადდენ ფრიად უმეტეს უღირს კაცსა, რადთა მოითმინნეს იმრთისათვს ესე ვითარნი. თა უკუეთუ ჴორციელისა და მოკუდავისა კაცისა მიერ ეზომი დაითმინის მცირედისა მისთვს შეცოდებისა, ხოლო რომელმან ცოდოს იმრთისა მიმართ, ვითარ არა 35 უფროდს დაითმინოს, უკუეთუ ცნას და განიკითხოს თავი თვსი. თითარცა იტყვს ნეტარი **სავლე**, ვითარმედ: «უკუეთუმცა თავთა თვსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხვინით»(1კორ.11,31).

თა აწ შენ უჭეშმარიტესადრე ისმინე ძალი და მადლი მარხვისად. ჟამეთუ განკვრვებით მკითხევდ მე თუ, ეგოდენსა რად იმარხავ? – მარხვად სრბად არს სიბრძნისად დაუყენებელი, 45 მარხვად – სულნელებად სულისად, მარხვად – წინდი მერმისა მის უხრწნელისა გვრგვნისად, მარხვად – დედად შუენიერებისა, მარხვად – სულნელებად ჴორცთად, რამეთუ რაჟამს იგი ჴორცინი განეყენიან ჴორცთაგან და სინმიდ-

ით იყოფებოდნენ, მაშინ მოინის სულნელე-
 ბაე სულისა მდიდისა კაცისა მის ზედა და
 აღავსის იგი. ოკუეთუ ვინმე ჭამდეს ჯორცსა
 ანუ სუმიდეს ღვინოსა გარდარეულად, მისგან
 უცხოა არს დაცვათ თავისა თვისსა სინმიდ-
 ით; რათა ვითარცა რაე სახლსა შინა მცირესა
 დადგის კუამლი ნივთთა რათმე მიერ მყრალ-
 თა და კუამლის გამომცემელთა და აურვებენ
 მუნ შინა მყოფთა კუამლი იგი, ეგრეთვე ღვინო-
 მან წარუწყმიდის გონება ბრძენთაცა.

შარხვათ თანამზრახველ სულისა არს საყ-
 დარსა მას დიდებისა იმრთისასა, მარხვათ –
 საყდარი დაფუძნებული შორის ეკლესიისა,
 მარხვათ – რომელმან გარემიაქციის ვეცხ-
 ლის-მოყუარებისგან დაუცხრომელისა, მარხ-
 ვათ – დედაე წინანარმეტყუელთა, კარავ
 და ქნარ მამათ-მთავართა, მარხვათ – ნესტუ
 ეკლესიათა, მარხვათ – მოძულე სიმდიდრისა,
 მარხვათ – რომელი გარემიიქცივის სიმდიდ-
 რისგან ამის სოფლისა, მარხვათ – ქადაგი ქეშ-
 მარიტებისა, მარხვათ – მათებელი ეშმაკი-
 სა, მარხვათ – აღმმართველი დაცემულთა,
 მარხვათ – მონანულთა მოძღუარი, მარხვათ –
 განმნმედელი სულისა, მარხვათ – სულწრ-
 ფელ, მეცნიერ, წმიდა, მყუდრო, მხიარულ,
 შეუგინებელ, ბრძენ, მშუდ და უჭმუნველ.
 შარხვათ – რომელი იგი მიმოვალს და ეძიებს,
 რომელსა სურის მისსა, მარხვათ – დედაე სი-
 ბრძნისა და ძმაე სიხარულისა და მშუდობისა,
 მარხვათ – გარემქციველი საქმისა ბოროტისა,
 მარხვათ – აღური გულის-წყრომისა, მარხვათ –
 მოძულე მავასხებელისა, რომელნი მიიღებენ
 აღნადგინებსა, მარხვათ – შუენიერ სამოთხე,
 მარხვათ – მოძღუარი კეთილი მონაზონთა,
 მარხვათ – ქადაგ სახარებისა, მარხვათ – დედა
 სიყუარულისა და ძმათ-მოყუარებისა, მარხვათ
 – კეთილთა საქმეთა მასწავლელ, მარხვათ –
 რომელი ხედავს ზეცისასა და შეურაცხ-ჰყოფს
 ქუეყანისასა, და განაყენებს შრომათგან და
 სალმობათა ამის სოფლისათა.

თა ვითარმე შეუძლო სიტყვთა მითხრობად
 ბრწყინვალეებასა მარხვისა და ძმათ-მოყუარე-
 ბისასა, და ამას თანა ლმობიერისა სინანუ-
 ლისასა. შარხვამან და სინანულმან ორმეოც
 დღე შეიყვანა **წდამი** სამოთხედ. შარხვამან და
 სარწმუნოებამან შესანიშნავი იგი **სბელისი** იმ-
 რთისა შეწირა. შარხვამან და სტუმრის-მოყუ-
 არებამან **ხოთ სოდომელთაგან** და ცეცხლისა
 იწსნა. შარხვამან და იმრთის-მსახურებამან და

სიმართლისა საქმემან **ჩოვე** წყლით-რლუნის-
 გან აცხოვნა. შარხვითა და სტუმართ-მოყუ-
 არებითა **სბრაჰამ** მეგობარ იმრთისა იქმნა
 და თვთ თავადი ჴრისტე **სნგელოზთა** თანა
 შეიწყნარა, და აღუთქუა **სბრაჰამს** შვილი და
 აკურთხა ნათესავი მისი. ქამეთუ **უსავ** ნადირ-
 ითა იზარდებოდა, ხოლო **საკობ** თესლითა, და
 იხილე, თუ რომელმან დაიმკვდრა პირმშობაე.
 შარხვამან და სინმიდემან **სოსებ** მეფედ დაად-
 გინა. შარხვითა და მეცნიერებითა იმრთისაე-
 თა **სოსე** სჯულის-მდებელ იქმნა. შარხვითა
 და აღპყრობითა ველთაათა ამანვე **სმალეკი**
 მოსრა. შარხვითა **სედეონ შადიამი** წარწყმი-
 და. შარხვითა **სსო** ძემან **ჩავესმან** ღამე დღე
 ქმნა, ვიდრემდე მოსრნა მტერნი ოფლისანი.
 შარხვითა და ლოცვითა **შავით** ბოროტი სული
საულისგან განდევნა. შარხვითა **სოლომონს**
 სიბრძნე მიეცა. შარხვითა **სლია** ცასა აღ-
 ვირ-ასხნა სამ წელ და ექუს თუე. შარხვითა
სლისე ყრმანი, რომელნი ჰბასრობდეს, წარ-
 წყმიდნა და მკუდარნი აღადგინნა, და ზეთითა
 მცირითა ყოველნი ჭურჭელნი აღავსნა, და
 კეთროვანი განწმიდა.

შარხვამან ყოველნი წინანარმეტყულნი
 გურგუნოსან ყვნა. შარხვამან ძენი **სონად-**
აბისნი, ძის-წულნი **სეექაბისნი**, **სსურთაგან**
 ღრუბლითა იწსნა და აწ სანატრელ არიან იგ-
 ნინი და მრავალ წელ ცხონდებიან. შარხვამან
 სამნი იგი ყრმანი თესლისა მჭამელნი უფროეს
 სსუათა ყრმათა შუენიერად გამოაჩინნა საჭუმ-
 ილისაგან **საბილოვნისა**. შარხვამან **შანიელ**
 და სამნი ყრმანი განარინნა ლომთაგან, ვეშაპი
 მოკლა და უჩინოე იგი ხილვად აუნყა მეფესა.
 შარხვამან **სზრას** სასუმელი იგი ზეცისაე შეა-
 სუა, და ჩიგნი იგი დამწუარი **ჩაბოქოდონო-**
სორისგან **სზრას** მიერ კუალად აღწერნეს.
 შარხვამან **სვდით** მწვევლითურთ დაიცვა, და
ოდონფერნე სიმრავლე იგი ერისა მისისაე
 მოსრა. შარხვამან და სინანულმან **ჩინეველნი**
 დაქცივისაგან და რისხვისა იმრთისა იწსნა.
 შარხვითა **სოანე** უდაბნოსა ზედა დაცვულ
 იქმნა, იქცეოდა რაე მარტოებით. შარხვასა
 ჴრისტემან პატივ-სცა და კაცი ეშმაკისაგან
 გამოიწსნა და ჯოჯოხეთი წარმოტყუენა ჴუ-
 არითა და ყოველთა მორწმუნეთა განულო სა-
 სუფეველი **სათაე**.

წივლტოდით უკუე ანგაპრებისაგან, რომელ
 არს კერპთ-მსახურებაე, ვითარცა იტყვს ჭური
 იგი რჩეული **სავლე** მოციქული(კოლ.3,5), რა-

ათა ვიყვნეთ ჩუენ სრულ კაც. **ბა ნუმცა გუაქუს მნიკული ვნებათა ამის სოფლისათაჲ, რათა ვიპოვნეთ ზიარ მონათა იმრთისათა თანა, რომელნი იგი სათნო ეყვნეს ოფალსა ჩუენსა შესუ ჴრისტესა. ჴამეთუ სადა უღმრთოებაჲ და სიანგაჰრე, მუნ ყოველი ბილწებაჲ და საქმე არანმიდაჲ».**

15. **ბა ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე იმერთიე-განბრძობილისა მისგან პირისა **ზიკინიოზსა** და სხუათა მათცა, რომელნი განმზადებულ იყვნეს მკვდრობად წმიდისა მის თანა, ყოველთავე სიხარულით მისცეს დიდებაჲ იმერთსა. ბა შემოკრბეს სხუანიცა ძმანი მრავალნი წმიდისა **სანსოფისსა**, რათა ცხონდენ მის მიერ და ისწავონ ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ.**

ჟოლო ვითარცა იხილა ესრეთ კეთილად-წარმატებაჲ მათი მოძულემან კეთილისამან და რამეთუ ან უმეტესად აღორძნდების **სანსოფის** მიერ სარწმუნოებაჲ, ვერ თავს-იდვეს ესე, არამედ შეუჭდა გულსა მთავრისასა და აღძრა იგი და განარისხა კუალად ბოროტის-ყოფად წმიდისა **სანსოფისსა**. ბა წარავლინა ეზოღს-მოძღუარი თვისი, და ესრეთ ჰრქუა მას: «წარვედ მოსწრაფედ და დანჯ საყოფელი **სანსოფისი**. ბა ყოვლით-კერძო აღუდევ ცეცხლი, რათა დაიწუას იგიცა მუნ შინა. ბა რაოდენნიცა იგი იყოფებიან მის თანა, იგიცა დაიწუნენ, რამეთუ მასმიეს მისთვის, ვითარმედ განუმრავლებიან მის თანა ზიარნი სჯულისა მისისანი».

ბა წარვიდა კაცი იგი და აღუდვა ღამე ცეცხლი ქუაბსა მას, სადა იგი იყო ნეტარი **სანსოფი** და სხუანი იგი ძმანი. ბა ეგრეთ დაიწუნეს წმიდანი იგი ქუაბსა მას შინა და შეჰვედრნეს

სულნი თვისნი ჴელთა ოფლისათა. ბა მიიღეს გვრგვნი წამებისაჲ ჴელითა **წნგელოზთა**თ. **უსრეთ აღასრულა ცხორებაჲ თვისი საკვრველმან და დიდმან **სანსოფი**, და ესრეთ მიილო შრომათა და ღუანლთა თვისთა წილ ჴრისტესგან სუფევაჲ დაუსრულებელი.**

16. **ჟოლო მას ჟამსა შინა, ოდეს აღუდვეს ცეცხლი ქუაბსა მას, არა იყო მუნ **ზიკინიოზ**, რამეთუ წარეველინა წმიდასა **სანსოფის** ქალაქად, ძმათათვის სყიდად საზრდელისა. ბა ვითარ მოინია ქუაბადვე და იხილა იგი მომწუარი ცეცხლითა, აღივსო იგი მიუთხრობელითა მწუხარებითა და საღმობიერთა მოიცვეს იგი ცრემლთა მოშორებისათვის წმიდისა **სანსოფისსა**. ბა ფრიად ჰნატრიდა მათ და ესრეთ იტყოდა: «დიდებაჲ შენდა ჴრისტე, ჴომელმან სრულ ჰყვენ ძმანი ჩემნი და არა აღასრულენებაჲ ბოროტისა ეშმაკისაჲ».**

ბა წარვიდა იგი ქალაქად და აუწყა ესე მორწმუნეთა ვიეთმე. ბა მათ წარმოიხუენეს ნაწილნი იგი წმიდათა მათ ჴრისტეს-მონამეთანი და დასხნეს ადგილსა წმიდასა გალობითა და ქებითა, საკურნებელად სულთა და ჴორცთა მათთა, რამეთუ მიერთგან ურიცხუნი სნეულნი განიკურნებიან და ეშმაკნი იდევნებიან.

ჟოლო ნეტარმან **ზიკინიოზ** შეწვენითა და მეოხებითა წმიდათა მათ მონამეთათა აღასრულა სათნოდ იმრთისა მანცა მოქალაქობად თვისი და უკანაჲსკნელ აღსარებისა გვრგვნითა შეიმკო ჴრისტე შესუჲს მიერ, ჴომლისა თანა შამასა დიდებაჲ სულით **წმიდითურთ**, ან და მარადის და საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

